# ხელშეკრულება № 7

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ცუცხვათი 09 სექტემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ-ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ დავით კუპრაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი" , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს$^{1}$" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. (CPV 22100000; 22800000; 30100000)

1.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 499.00(ოთხასოთხმოცდაცხრამეტი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ტყიბულის რაიონი სოფელი ცუცხვათი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ -ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლა<br>ს/კ 219634821<br>მის: ტყიბული სოფელი ცუცხვათი<br>ტელ:577504262 | შპს „ორგსერვისი“<br>ს/კ. 212693851<br>მის.:ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის #51/2ა<br>ტელ.: 0322041100 |
| საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/აGE70LB0121112517242000 | საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი“<br>ბანკის კოდი MIBGGE22<br>ა/ა GE28PC0133600100067722 |
| დირექტორი დავით კუპრაშვილი | დირექტორი ხვიჩა ნემსაძე |

| # | არტიკული | საქონელი | რაოდ. | ერთ. | ფასი | თანხა: |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 553 A4-S.2 | საქაღალდე ბაინდერი A4-S.2 553 A4 5სმ. ვიწრო | 3 | ცალი | 3.00 | 9.00 |
| 2 | 30610 | საქაღალდე ფაილებით პლასტ. PAPIRUS ECONOMIX 100 ფურც. A4 30610 | 2 | ცალი | 9.40 | 18.80 |
| 3 | 035/BABTIANI | საქაღალდე მუყაოს ბაფთიანი A4 | 10 | ცალი | 0.35 | 3.50 |
| 4 | GOZNAK A1 | ვატმანი ხაზის GOZNAK A1 | 10 | ცალი | 0.90 | 9.00 |
| 5 | 8064-A | ფლიპჩარტი AXENT 8064-A 64*90სმ 30ფ | 2 | ცალი | 9.90 | 19.80 |
| 6 | GTV/SONYAM3M20X LR6 AA1.5 | ელემენტი SONY AM3-M20X ALKALINE PLUS LR6,AA1.5V | 10 | ცალი | 0.90 | 9.00 |
| 7 | DOLPHIN 10PSC 100314 | ცარცი თეთრი Dolphin 10ც. | 10 | ცალი | 1.30 | 13.00 |
| 8 | 45214 | წებო მშრალი PAPIRUS OPTIMA 15გრ. 45214 | 5 | ცალი | 1.30 | 6.50 |
| 9 | 5021 | წებო საკანცელარიო თხევადი 5021 50მლ. | 2 | ცალი | 0.70 | 1.40 |
| 10 | 7001-A | კორექტორი ფუნჯით AXENT 20მლ. 7001-A | 2 | ცალი | 1.80 | 3.60 |
| 11 | D4232-02 | სტეპლერი AXENT #24/6 20ფ. D4232-02 | 3 | ცალი | 3.30 | 9.90 |
| 12 | 100/MIX A4-80GR | ქაღალდი ქსეროქსის ფერადი A4 80გრ. 100ფ. MIX | 5 | შეკვრა | 4.00 | 20.00 |
| 13 | 31106 | ფაილი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4, 30მკრ. 100ცალი 31106 | 1 | შეკვრა | 3.95 | 3.95 |
| 14 | GTV/26084 | ჩანთა ნოუთბუქის Geek 15,6 26084 Defender | 1 | ცალი | 35.00 | 35.00 |
| 15 | 430 F-3 | კალამი ბურთულიანი Staedtler stick 430 F ლურჯი 430 F-3 | 10 | ცალი | 0.80 | 8.00 |
| 16 | 430 F-2 | კალამი ბურთულიანი Staedtler stick 430 F წითელი 430 F-2 | 5 | ცალი | 0.75 | 3.75 |
| 17 | 430 F-9 | კალამი ბურთულიანი Staedtler stick 430 F შავი 430 F-9 | 5 | ცალი | 0.75 | 3.75 |
| 18 | 3080 K15 | კალამი ბურთულიანი Schneider K15 3080 | 10 | ცალი | 1.00 | 10.00 |
| 19 | 655 | ფანქარი უბრალო 655 საშლელით | 10 | ცალი | 0.15 | 1.50 |
| 20 | 777 05 | ფანქარი მექანიკური Staedtler Graphite 0788. 777 05 | 3 | ცალი | 3.00 | 9.00 |
| 21 | 415200B005PK | მიკროგრიფი 0,5მმ. 12ც. B 415200B005PK | 2 | ცალი | 1.45 | 2.90 |
| 22 | 6541080004KD | საშლელი კომბინირებული 6541/80 ფანქარი/მელანი 6541080007KD | 10 | ცალი | 0.30 | 3.00 |
| 23 | 9095000054KS | სათლელი ლითონის 8,0მმ. ორმხრივი გრძელი წვერისთვის 9095000054KS | 3 | ცალი | 1.50 | 4.50 |
| 24 | SAKANAVI/TSEB/A2 | საკანავე წიგნის წებოვანი A2 | 40 | ცალი | 0.50 | 20.00 |
| 25 | 96/IBERIA | რვეული სასკოლო 96ფ. IBERIA 0% | 2 | ცალი | 1.00 | 2.00 |
| 26 | 48/IBERIA | რვეული სასკოლო 48ფ. IBERIA 0% | 16 | ცალი | 0.55 | 8.80 |
| 27 | 12/COTI | რვეული სასკოლო 12ფ. COTI 0% | 10 | ცალი | 0.35 | 3.50 |
| 28 | D6216 | მაკრატელი AXENT/DELTA 21,5სმ. D6216 | 1 | ცალი | 2.90 | 2.90 |
| 29 | 6215-A | მაკრატელი AXENT 6215-A 17სმ. | 1 | ცალი | 2.00 | 2.00 |
| 30 | 4540/DEKO | სკოჩი DEKO 0.45სმ*40 4540 | 2 | ცალი | 1.00 | 2.00 |
| 31 | 1525 | სკოჩი გამჭვ. 15მმ*25მ პატარა | 6 | ცალი | 0.40 | 2.40 |
| 32 | 31301 | საქაღალდე კონვერტი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 31301 | 4 | ცალი | 0.70 | 2.80 |
| 33 | 5470/SAORG | საორგანიზაციო კუთხე სასკოლო 5470 | 12 | ცალი | 2.50 | 30.00 |
| 34 | 5469/CXRILI | გაკვეთილების ცხრილი სასკოლო 5469 | 2 | ცალი | 2.50 | 5.00 |
| 35 | 351-9 | მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Black 351-9 | 2 | ცალი | 2.50 | 5.00 |
| 36 | 351-2 | მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Red 351-2 | 2 | ცალი | 2.50 | 5.00 |
| 37 | 351-3 | მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Blue 351-3 | 2 | ცალი | 2.50 | 5.00 |
| 38 | 351-5 | მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Green 351-5 | 1 | ცალი | 2.50 | 2.50 |
| 39 | 1010-W | მარკერი ცარცის STA 1010-W თეთრი | 2 | ცალი | 3.70 | 7.40 |
| 40 | 1010-F02 | მარკერი ცარცის STA 1010-F02 წითელი | 1 | ცალი | 3.70 | 3.70 |
| 41 | K17-1140 | საძერწი ნაკრები (დაფა 180*250მმ, 3ც სტეკი) KITE, K17-1140 | 1 | ცალი | 2.10 | 2.10 |
| 42 | 3562012002KS | ფანქარი ფერადი Koh-I-noor 12ფ. 3552012002KS ჩიტები | 2 | ცალი | 4.50 | 9.00 |
| 43 | 12C 878-08 | პლასტელინი LUCH CLASSIC 6 ფ. 12C 878-08 | 3 | ცალი | 2.50 | 7.50 |
| 44 | 3380053001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Red 3380 3380053001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 45 | 3380048001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Dark purple 3380 3380048001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 46 | 3370008029KS | ფანქარი ფერადი OMEGA 3370 Red bordeaux 3370008029KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 47 | 3380070001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Azure blue 3380 3380070001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 48 | 3380004001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Light green 3380 3380004001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 49 | 3370036029KS | ფანქარი ფერადი OMEGA 3370 Black 3370036029KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 50 | 3380002001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Orange 3380 3380002001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 51 | 3380005001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Dark green 3380 3380005001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 52 | 3380025001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Lemon yellow 3380 3380025001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 53 | 3370033029KS | ფანქარი ფერადი OMEGA 3370 Brown dark 3370033029KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 54 | 3380057001KS | ფანქარი ფერადი JUMBO Sapphire blue 3380 3380057001KS | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 55 | 3370040029KS | ფანქარი ფერადი OMEGA 3370 Gold 3370040029KS | 1 | ცალი | 2.85 | 2.85 |
| 56 | CAMELION/6F22-SP1B | ელემენტი Camelion Super Heavy 9V 6F22-SP1B | 2 | ცალი | 1.80 | 3.60 |
| 57 | GTV/SONY RO3NUP4A/R03AAA | ელემენტი SONY R03-NUP4A EE ZINC CARBON R03 AAA SHRINK 1.5V | 4 | ცალი | 0.40 | 1.60 |
| 58 | GTV/PREMIUM/AA103/MRBATLR | ელემენტი Premium ALKALAINE Micro AAA/LR03/1.5V MRBAT103 Media | 2 | ცალი | 0.60 | 1.20 |
| 59 | 314R/3041044 | სალებავი გუაში Nevskaia Palitra 6ფ. 20მლ. CVETIK | 2 | ცალი | 5.50 | 11.00 |
| 60 | 771002AB21KS | ფლომასტერი Koh-I-noor 771002AB21KS 12ფ. DINO მუყ. კოლ | 3 | ცალი | 3.90 | 11.70 |
| 61 | 52606/DEFENDER | მაუსი Datum MM-605 52606 უკაბელო, BLUE Defender | 1 | ცალი | 19.50 | 19.50 |
| 62 | 30103 | საქაღალდე პლანშეტი PAPIRUS ECONOMIX A4 30103-02 | 2 | ცალი | 3.50 | 7.00 |
| 63 | AG1071-02-A | კალამი გელის AXENT საშლელით AG1071-02-A ლურჯი | 1 | ცალი | 1.50 | 1.50 |
| 64 | AB1011-02-A | კალამი ბურთულიანი AXENT AB1011-02-A Milagro ლურჯი | 1 | ცალი | 1.10 | 1.10 |
| 65 | UX-139-02 | კალამი ბურთულიანი UNIMAX, Fine Point Gold Dlx , UX-139-02 Blue | 2 | ცალი | 0.85 | 1.70 |
| 66 | 183103 | როლერი Schneider OneHibridC 183103 0.3მმ. BLUE | 1 | ცალი | 4.50 | 4.50 |
| 67 | 88116 | ფარგალი სასკოლო 88116 | 1 | ცალი | 9.80 | 9.80 |
| 68 | 074260300000 | სახაზავი koh-i-noor 30სმ. 074260300000 ვარდისფერი | 1 | ცალი | 1.00 | 1.00 |
| 69 | 074261100000 | სახაზავი koh-i-noor 30სმ. 074261100000 ყავ. brown | 2 | ცალი | 1.00 | 2.00 |
| 70 | 0742310202PS | სახაზავი koh-i-noor 30სმ. 0742310202PS | 1 | ცალი | 1.00 | 1.00 |
| 71 | WEBO/7*30 | წებო ჩხირი 7*30 | 10 | ცალი | 0.25 | 2.50 |
| 72 | 01/NK/SAN | წიგნის სანიშნი ზონარით ხელნაკეთი NK&S 01 | 2 | ცალი | 1.00 | 2.00 |
| 73 | 05/N&S | წიგნის სანიშნი ზონარით ხელნაკეთი N&S 05 | 1 | ცალი | 1.00 | 1.00 |
| 74 | NK/SAN/FIMO | წიგნის სანიშნი FIMO | 1 | ცალი | 1.00 | 1.00 |
| 75 | 59500 | ჩასანიშნი ფურცლები ERA 90*90 80გრ. თეთრი | 1 | ცალი | 1.80 | 1.80 |
| 76 | 001-5 | სახაზავი და ფარგალი ნაკრებში დაფის 001-5 5 ერთ. | 1 | ცალი | 40.00 | 40.00 |
| 77 | 4213-A | ჭიკარტი მრავალფეროვანი, ფერადი, AXENT 50ც. 4213-A | 1 | ცალი | 0.90 | 0.90 |
| 78 | 9822-A | მაგნიტი AXENT 9822-A 6ც | 2 | ცალი | 1.90 | 3.80 |
| 79 | K18-679-2 | პენალი KITE K18-679-2 | 1 | ცალი | 11.00 | 11.00 |